ცნობის ფურცელი

№ 2284 ორშაბათი, 6 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2284

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობისა
იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

სამაგრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—109)

იაფ-ფასიანი
ქართული სამკითხველოები
„ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა“

პირველი—იმეოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში №32

მეორე—ვერაზედ ოლგას ქუჩაზედ, № 32

სამკითხველო დია არის ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. კვირა-უქმე დღით მხოლოდ 11—1 საათამდე. სამკითხველოში მოიპოვება გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალები. (უ. 3—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. იმ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 – 1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ხიდილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., სად. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე-

საზღვარ-გარედ

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჩეხმა რადიკალებმა ამ დღეებში პრაგაში დიდი კრება მოახდინეს და მლადოჩეხების პროგრამა გაარჩიეს. კრებას 4 ათასამდე კაცი დაესწრო. რადიკალ-დეპუტატებმა ბაქსამ, ჩერნიმ, კლოფაჩმა, ფრეხლმა და ხოცმა სიტყვები წარმოსთქვეს. ორატორებმა ძლიერ გაჰკიცხეს მლადოჩეხების ქცევა. ორატორები ამბობდნენ: მლადოჩეხების მეთაურები ხალხს ატყუებენ, იმის მეტს არას არიგებენ, რომ ჯამაგირს იღებენ და ვენაში ქაღალდის სათამაშოდა და საქეიფოდ დადიანო. დამსწრე საზოგადოება ხან-და-ხან გულის წყრომით ყვიროდა: „სირცხვილია! ფუი! დაიღუპნენ!“ ზოგიერთი ყვიროდა: მლადოჩეხების დეპუტატები ეხლავე სამსახურიდან უნდა გადადგნენო. ბოლოს კრებამ ამნაირი რეზოლიუცია დაადგინა: კრება იწონებს ჩეხ-რადიკალების პოლიტიკას, მლადოჩეხების ეხლანდელი პოლიტიკა უფრო საზარალოდა და დამღუპველ პოლიტიკად მიაჩნია, ვიდრე თავის დროზე სტაროჩეხების პოლიტიკა მიაჩნდა. დასასრულ კრებამ დაადგინა: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო საარჩევნო უფლება მიენიჭოს ხალხსაო. კრება შუაღამისას დასრულდა. დამსწრე ხალხმა პროცესიით პრაგის უმთავრესი ქუჩები გაირა და მლადოჩეხების გაზეთების რედაქციების წინ „კატის კონცერტი“ გამართა.

იტალია. დეპუტატებმა კაბრინიმ, კიეზამ და ნოფრიმ გაზაფხულზე კვირა-უქმე დღეობით შესვენების თაობაზე კანონ-პროექტი შეადგინეს და პარლამენტს წარუდგინეს დასამტკიცებლად. პარლამენტმა ამ კანონ-პროექტის განხილვა კომისიას მიანდო. კომისიამაც შეასრულა პარლამენტის მინდობილობა და ხსენებულ კანონ-პროექტის თაობაზე მოხსენება შეადგინა. წარსულ კვირას ეს მოხსენება დეპუტატებს დაურიგდათ გასაცნობად. მოხსენებაში თავდაპირველად ახსნილია, რომ კანონი კვირა-უქმე დღეობით შესვენების თაობაზე ჩვენის დროის მოთხოვნილებას შეადგენსო. მუშების კავშირებსა, კოოპერატიულ საზოგადოებათ და სხვა დაწესებულებათ კომისიისათვის მიუწერიათ, ეს კანონი მეტად დიდ სარგებლობას მოიტანს და უსათუოდ უნდა გამოიცესო. მოხსენების დიდი ნაწილი საგაზეთო საქმეს ეხება. კაბრინის პროექტით საგაზეთო საქმე ამ კანონს არ ექვემდებარებოდა; კომისიას ხანგრძლივ კამათის შემდეგ კაბრინის პროექტი შეუცვლია და დაუმატებია: გაზეთის საქმეც ამ კანონს ექვემდებარებოდეს და ყველა, ვინც გაზეთის საქმეში მუშაობს, კვირა-უქმე დღეობით თავისუფალი იყოსო. შემდეგ მოხსენებაში ჩამოთვლილია დაწვრილებით, სად და რომელ საქმეში არ შეიძლება ამ კანონის ასრულება: მაგალითად, რკინის გზებზე, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში და სხვ. მოხსენების დასასრულში ნათქვამია: „კომისიამ კარგად იცის, რომ ამ რეფორმას პირველ ხანებში დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდება, მაგრამ მაინც ვსთხოვთ პალატას ჩვენი კანონ-პროექტი მოიწონოს. იმედი გვაქვს, პალატა ჩვენს თხოვნას შეასრულებს. ამნაირმა კანონმა დიდი სარგებლობა მოიტანა საზღვარ-გარედ, ჩვენის დროის საზოგადოებაც დიდის თანაგრძნობით ეკიდება ამ წმინდა საქმეს“.

ახალი ამბავი

◆ როგორც „ნორ-დარ“-ი გადმოგვცემს, 3 ოქტომბერს, ვანქის ტაძართან, ვიღაც უცნობმა კაცმა განიზრახა სომეხთა მღვდლის **ალექსანდრე ტერ-ოვანესიანცის მოკვლა.** უცნობმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვია აასცდინა. უცნობი ისე მალე გაჰქრა, რომ დაჭერა ვერ მოასწრეს.

◆ როგორც „ბაკინ. იზვ.“ გადმოგვცემს, 29 სექტემბერს ნავთსადგურის უფროსს მუშას **მიქელაძეს რევოლვერით მოუკლავს ერთი მუშა.**

◆ მთავრობის განკარგულებით, პირველ ოქტომბრიდან **მეეზოვეები ბათუმშიაც შემოიღეს.**

◆ ბაქოში 2 ოქტომბერს საბუნჩას სადგურს მახლობლად **ცეცხლი გაჩენილა,** რომელიც ნავთის შადრევანს მოსდებია. ცეცხლი გაჰყოლია და ნავთის ბევრ აუზს წაჰკიდებია, შემდეგ საცხოვრებელ სახლებზედაც გადასულა. ოთხი კაცი მომკვდარა. ესენი ფითოევის ნავთის კოშკს იცავდნენ ცეცხლისაგან. კოშკი ჩამოქცეულა და ოთხივენი ქვეშ მოჰყოლია.

◆ 6 ნოემბერს **სამსახურის ვადა უთავდებათ** ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრებს თავ. ჩერქეზიშვილსა და ბ-ნ შესტაკოვს.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ **მევინე-მევენახეობის** კომიტეტისაგან გამოგზავნილი მოხსენებანი გადასცა განსაკუთრებულ კომისიას განსახილველად. კომისიას 10 ოქტომბრამდე უნდა წარედგინა თვისი მოსაზრებანი საბჭოსათვის. 29 სექტემბრისთვის იყო დანიშნული სხდომა, მაგრამ არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. 2 ოქტომბერსაც არ შესდგა; ამ დღეს თავმჯდომარემ ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეიმ აცნობა, რომ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ვერ ვიკისრებ თავმჯდომარეობას და წევრობასაო. ამის გამო ეს სხდომაც არ შესდგა. სხდომა დაინიშნა 7 ოქტომბრისთვის. კომისიამ დაადგინა თავმჯდომარედ მოიწვიოს უფროსი აგრონომი ბ-ნი სტაროსელსკი. ცნობები მოხსენებათა შესახებ მევინე-მევენახეობის კომიტეტს უნდა გაეგზავნოს 15 ოქტომბრამდე.

◆ ამ ცოტა ხანში სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე შულგინი და სხვა მოხელენი ქუთაისის გუბერნიაში მიდიან იმ მამულების მდგომარეობის გამოსარკვევად, რომელიც ამ **ბანკშია დაგირავებული.**

◆ ამ ცოტა ხანში ამიერ-კავკასიას ეწვევიან **ინგლისელი მოგზაურნი.** 8 ოქტომბერს მოგზაურნი „არგონავთი“-ს გემით ბათუმს მოვლენ. ტფილისში ორ დღეს დარჩებიან, 9 და 10 ოქტომბერს. ჩამოხტებიან „კავკაზ“-ის სასტუმროში.

◆ ამას წინად ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა ფულის გადადების შესახებ; ამ ფულით უნდა გამოიკვლიონ და შეადგინონ პროექტი იმ ხიდისა, რომელიც **დაბა ონთან უნდა გაკეთდეს რიონზე.** კავკასიის უმაღლესს მთავრობას შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

◆ გამოვიდა პირველი ნომერი **ახალ სომხურ ჟურნალის** „ჰიგიენურ ფურცლი“-სა. ჟურნალში სამკურნალო წერილებია მოთავსებული, გამოდის თვეში ორჯელ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა კავკასიის გუბერნიების მაზრის უფროსებს და სთხოვა, აცნობონ **საქონლის ვაჭრებს,** რომ ქალაქისთვის საკლავი საქონელია საჭირო და ვისაც ჰსურს ასეთი საქონელი მიაწოდოს ქალაქს, უნდა განცხადება წარუდგინოს გამგეობას. წელიწადში ქალაქს თავის ხორცის დუქნებისთვის სჭირდება 12-დან 16 ათას სულამდე. ვაჭრებს შეუძლიანთ საქონელი ან ერთად მორეკონ, ან ნაწილ-ნაწილ.

◆ სოფელ გურჯაანის (კახეთშია) მცხოვრებმა ბ-ნმა ბეზარიშვილმა სთხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, აგვიხსენით როგორ უნდა ვიხმაროთ **სეტყვასთან საბრძოლველი მორტირებიო.** ხალხს სურვილი აქვს გამოიწეროს მორტირები და ამისათვის საამხანაგოდ ფულიც გამოიღოს, მაგრამ კაცი არა გვყავს გვიჩვენოს, როგორ უნდა დავდგათ და ვიხმაროთ ეს მორტირებიო.

◆ დღეს, 6 სექტემბერს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს** კრება განიხილავს, სხვათა შორის, შემდეგ საქმეებს: მოხსენებას ნავთლუღში ბაღის გასაშენებლად ფულის გადადების შესახებ; მოხსენებას მუხრანის ბორანის იჯარით გაცემის შესახებ; დამატებით ხარჯთ-აღრიცხვას ამა 1903 წლისათვის; საპენსიო კასის წესდების პროექტს ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთათვის და სხვას.

თეატრი

ოპერა. უკვდავი ოპერა გუნოსი „ფაუსტი“ სრულიად მოულოდნელად სუსტად წარმოადგინეს. არც სანგურსკის (მეფისტოფელი), არც გლადკოვს (ვალენტინი), არც ხოროს არ ეპატიებათ „ფაუსტში“ თავ-თავიანთ პარტიების ისე სუსტად ჩატარება. სანგურსკის არც ხმა მოსდევდა და თამაშობითაც მეფისტოფელს ცოტათი ჰგვანდა. საკვირველია, გუგენოტებში შედარებით უმნიშვნელო პარტია სენ-ბრისა ცოცხალ მედგარ ტიპად გამოიყვანა; შეჰქმნა სენ-ბრი, ფაუსტში-კი საუკეთესო ადგილები სრულიად სუსტად ჩაატარა. პირველ მოქმედებაში ბაღოდიადა, მესამე მოქმედებაში სერენადა უფერულად იმღერა. გლადკოვიც მოისუსტებდა თავის არიოზოში „ღმერთი ყოვლად შემძლე“. არციბაშევისა არას დროს მარგარიტა არ იქმნება. ეს საღამოც ფიგნერმა გაიტანა, თუმცა ამასაც „ფაუსტში“ უფრო ჰლალატობდა ხმა. ხორო ხომ ყოველთვის კარგი, ამ საღამოს მეორე, მესამე მოქმედებაში თითქო მოაჯადოვესო, სუსტად მღეროდა. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის სხდომა

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის თავმჯდომარეობით ამ დღეებში სხდომა ჰქონდათ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის წევრებს. სხდომის დაწყებისათანავე კომიტეტს განსახილველად წარედგინა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მოწერილობა იმის შესახებ, რომ ხაზინის საშუალებით ქ. ნოვოროსიისკს ახლო შექმნილ იქმნა ადგილი, ზამთ რამდენიმე დესეტინა, სახელად „მისხაკო“, სადაც გამართული იქმნება ამერიკულ ვაზის სანერგე და სადედე მინდორი. ამასთანავე თავმჯდომარემ გააცნო კომიტეტს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგისაგან დამტკიცებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენება იმის შესახებ, რომ ახლად დაარსებული ამერიკული ვაზის სანერგე შეტანილ იქმნეს კავკასიის იმ სანერგეთა სიაში, რომელთა თვალყურის გდება და გამგეობა მინდობილი აქვს კავკასიაში უფროს აგრონომს ბ-ნ სტაროსელსკის. სამინისტროსაგან დამტკიცებულ „ხარჯთ-აღრიცხვით „მისხაკოს“ სანერგეს ყოველ წლობით დასჭირდება 3318 მან., ხოლო ერთ ჟამიერად სახლებისა და საცდელ მინდვრის მოსაწყობად 19.415 მან. 40 კაპ. სულ 22723 მან. 40 კაპ.

სათილოქსერო კომიტეტმა დაწვრილებით გაიცნო სამინისტროსაგან დამტკიცებული პროექტი ახალ სანერგეს მოწყობისა შავი ზღვის პირის გუბერნიაში, საკმარისად იცნო ყველა დასახელებული საშუალებანი ამერიკულ ვაზის საუკეთესო სანერგეს მოსაწყობად და დაადგინა მიიღოს აღსასრულებლად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ამ საქმის შესახებ მოწერილობა.

ამავე სხდომაზე კავკასიის მიწათ-მოქმედების ინსპექტორმა ო. კ. ვასილიევმა მოახსენა კომიტეტს, რომ ქუთაისის გუბერნიაში ამერიკულ ვაზის ნერგის ფოთლებზე ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ფილოქსერის მაგვარი ავადმყოფობა. ეს გარემოება და ქუთაისის გუბერნიის ბევრს ადგილებში გავრცელებული ფილოქსერა გვაიძულებს შევუდგეთ გამოკვლევას, თუ რამდენად მავნებელია ამერიკულ ვაზის ფოთლის ავადმყოფობა და როგორ მოისპოს იგი, აგრეთვე რამდენად არის გავრცელებული ზუგდიდის მაზრაში და სოხუმის ოლქის ზოგიერთ სოფლებში ფილოქსერა, რათა შემდეგ საშუალება მოგვეცეს დაავადებულ რაიონის გამოკვლევისა და ფილოქსერასთან მოსასპობად ბრძოლის მოწყობისა. აგრონომის ბ-ნ ტიმოფეევის გამოკვლევიდან სჩანს, რომ ფილოქსერა გაჩენილა ზუგდიდის მაზრის სოფლებ: ნიკოსიასასა, ჭკადუაშისა, ლიაჯვარისა და ენგურის მარჯვენა ნაპირის სოფლებ მუჟასა და პახულანის მცხოვრებთა ვენახებში. ამ სოფლებსა და მათ გარშემო ადგილებში ფილოქსერა ძალიან გაძლიერებულა. სოხუმის ოლქში ფილოქსერა გაჩენილა სოფლებ საბერიოსა, ჭუბურხინჯისა, რიყესა, დალისა და მუხურის მცხოვრებთა ვენახებში. ბ-ნ ტიმოფეევის გამოკვლევით, ფილოქსერა მოდებულია მთელ სამურზაყანოს საბოქაულოში და თუ ეხლავე შესაფერისი ღონისძიებანი არ იქმნა მიღებული, შესაძლებელია ფილოქსერა მთელ სოხუმის ოლქის ვენახებს მოედოს. კომიტეტს ცნობები წარედგინა აგრეთვე იმის შესახებ, რომ სოხუმიდან ყოველ წლობით რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში დიდ-ძალი ნერგები გააქვთ და ნერგების შემოწმება ფილოქსერის მხრით ისე კარგად ვერ არის მოწყობილი, როგორც საჭიროა. ამის გამო თუ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, შესაძლებელია მთელს კავკასიას და აქედან რუსეთის ვენახ-ბაღებსაც მოედოს. სოხუმის ახლომახლო ადგილებში, სადაც ძვირფასი მცენარეულობაა და საიდანაც განსაკუთრებით გააქვთ ნერგები, ფილოქსერას ჯერ ვერ მიუწევია და კომიტეტმა განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ის აზრი გამოსთქვა, რომ აქ უნდა დაინიშნოს განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც დავალებული ექნება ყოველი ღონე იღონოს, რომ სოხუმისაკენაც არ იქმნეს გადატანილი ვენახების ეს გამანადგურებელი სენი.

სათილოქსერო კომიტეტის სხდომაზე ყურადღება მიექცა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გავრცელდა და ფეხი მოიკიდა ფილოქსერამ გორის მაზრაში. კომიტეტმა საჭიროდ ხცნო გაძლიერებულ იქნეს გორის მაზრაში თვალ-ყურის გდება და გამოკვლევა ვენახებისა.

დასასრულ კომიტეტმა დაადგინა: 1) გამოცხადებულ იქნეს სამურზაყანოს ვენახები ფილოქსერით დაავადებულად; 2) შუამდგომლობა იქნეს აღძრული მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ გაუქმდეს ტფილისის გუბერნიაში ორის ინსტრუქტორის ადგილი და ნაცვლად დაარსებულ იქმნეს თანამდებობა ერთის უნცროსის ექსპერტისა, რომელსაც ჯამაგირად უნდა დაენიშნოს 1800 მან. ამ ექსპერტს დაევალება ტფილისის გუბერნიის შუაგულ ადგილებში მამულების თვალ-ყურის გდება და ფილოქსერის მხრით გამოკვლევა; 3) დაარსდეს სოხუმის ოლქში თანამდებობა მოგზაურ მებაღისა, რომელსაც წელიწადში ჯამაგირად უნდა მიეცეს 900 მან. ამ მებაღემ უნდა უაროს სოხუმის ოლქის მამულებსა და ბაღებს, რომ ფილოქსერა არ გავრცელდეს, და 4) რადგანაც სოხუმის ოლქში ასეთი თანამდებობის დაარსება ძალიან საჩქაროა, ეხლავე დაინიშნოს იქ ერთი ადგილიდან მეორეში მოგზაური მებაღე, რომელსაც დაევალება ფილოქსერის მხრით გამოკვლევა ვენახებისა ოჩემჩირედან მოკიდებული, ვიდრე სოხუმამდე, და აგრეთვე თვალ-ყურის გდება გასატანად დამზადებულ ნერგებისა სოხუმიდან და მოწმობების მიცემა. ეხლავე ამ თანამდებობაზე ვისმეს დანიშვნის საჭიროება უნდა ეცნობოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

სასამართლო

—

23 ოქტომბრისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე თ. დავით ანდრონიკაშვილისა, რომელსაც ფიც ქვეშ ცრუ მოწმობა ჰბრალდება.

—

11 ოქტომბრისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სიღნაღის სომეხთა მღვდლის ტერ-აბელ სუკიასოვისა, რომელსაც ფიც ქვეშ ტყუილ ჩვენების მიცემა ჰბრალდება.

—

ამ კვირია სამოსამართლო პალატის სესია მიემგზავრება ქუთაისში საქმეების განსახილველად. სხვათა შორის, განიხილავს საქმეს ქუთაისის პოლიცმეისტრის ბ-ნ ლისოვსკისას, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

დაბა-სოფლები

—

ყვირილა (იმერეთი). ყვირილაში არსებობს ოთხი წელიწადია ქალების ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც სწავლობს 120-მდე ქალი. ოქტომბრიდან არსდება ოთხ-კლასიანი კერძო პროგიმნაზია. ასე თუ ისე, ეს ორი სასწავლებელი დააკმაყოფილებს ყვირილელებს, მხოლოდ საჭიროა საზოგადო საგნების გარდა სასწავლო პროგრამაში შევიდეს ისეთი საგნების სწავლებაც, რომელიც ცხოვრებაში გამოსადეგია ქალებისთვის. ვაჟების სწავლა-განათლების საქმე უკეთესადაა აქ. ამ დღეებში ინსპექტორმა ნება-რთვა მიიღო სასწავლო მზრუნველისგან საქალაქო სკოლასთან მოსამზადებელ კლასების გახსნის თაობაზე და კიდევაც შეუდგა საქმის სისრულეში მოყვანას: შეუკვეთა მოსწავლეთა სტოლები და შენობაც იქირავა. მთხოვნელი ჯერ 80-დეა და თან-და-თან ემატება. წლეულობით ყოველნაირი ხარჯი, გარდა მასწავლებლების ჯამაგირისა, მშობლებმა უნდა გაიღონ. სკოლები გვემატება და გვემატება, მაგრამ საკუთარი შენობა კი არც ერთს არ მოეპოვება. საქალაქო სკოლის შენება დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ ისე ნელა შენდება, რომ არც გაისათ იქნება მზად. ამბობენ, ფული არა გვყოფნის და ამიტომ ერთსართულიანს გაშენებთო. გეგმა კი ორი სართულისა აქვს მთავრობას მიცემული. უგეგმოდ აშენებულ შენობას მთავრობა არ მიიღებს, რისთვისაც საჭიროა ახლავე მეორე სართულის აშენებაც, თორემ ბოლოს „ვაის“ ძახილი გვიან იქნება.

მთელი ენკენისთვე თითქმის ყოველ დღე წვიმდა, რის გამო საგრძნობლად აცივდა და ყურძენი და სიმინდი დიდად დაზარალდა. იმის ნახევარიც არ მოვა, რასაც ელოდნენ. როგორც ყანებში, ისე ვენახებში გაცხარებული მუშაობაა. არ მოხერხდა და არა უმთავრეს ქუჩის გასუფთავება და ტალახის მოსპობა. ერთ ალაგას შენობა შენდება, ქუჩის ნახევარი მასალას უჭირავს, ნახევარზე კი ისეთი წუმპე და ტალახია, რომ ურემიც ძლივს ამოდის, თორემ ადამიანი როგორ გაივლის იქ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. საჭიროა აგრეთვე აიკეთოს ახალი ქუჩის ხიდი, რომელიც აგერ ერთი წელიწადია ფიცრებ-აყრილი და მოაჯირ მოცილებულია.

საყულიელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 **ოქტომბერი**

სოფია. ქალაქის საბჭომ დაადგინა სოფიის დიდ მოედანზე გენერალ იგნატიევის ბიუსტი დავდგათო, ოლქის საბჭომაც 5 ათასი ფრანკი გადასდო ამ საქმისათვის.

ჩიფუ. ნიუ-ჩუუანის რუსმა გუბერნატორმა წინადადება წარადგინა, სათემო საბჭო დავაარსოთო. საბჭოში, სხვათა შორის, ორი ინგლისელი იქნება წევრად და ერთი ამერიკელი. საბჭოს ყველა დადგენილება გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს.

ბუდაპეშტი. პელეშის ციხე-დარბაზში რუმინიის პრინცი ნიკოლოზი მონათლეს. ხელმწიფე-იმპერატორის ნაცვლად ნათლიად გენერალ-ადიუტანტი დოლგორუკოვი იყო.

ლონდონი. დღეს ლურჯ წიგნში ბალკანეთში მომხდარ ამბების თაობაზე მიწერ-მოწერა გამოაცხადეს. ლანსდოუნმა 6 სექტემბერს შეატყობინა ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩს, ინგლისის მთავრობა რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის რეფორმების პროექტს დახმარებას გაუწევსო და ინგლისი არც ოსმალეთსა და არც ბოლგარიას არაფერ იმედს არ აძლევსო; თუ ეს სახელმწიფოები რეფორმების ასრულებას წინააღმდეგობას გაუწევენ, ინგლისის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეთო. 16 სექტემბერს ლანსდოუნმა ინგლისის ელჩს ვენაში დეპეშა გაუგზავნა, ლამსდორფის ვენაში ყოფნით ისარგებლეთ და ავსტრიასა და რუსეთს წინადადება მიეცით, რომ მაკედონიაში უფრო ფართო რეფორმები მოახდინონო. 22 სექტემბერს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებმა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გოლუხოვსკისა და ლამსდორფის დეპეშების შინაარსი შეატყობინეს. ამ დეპეშებში სიხარულია გამოთქმული იმის გამო, რომ ბრიტანიის მთავრობის წინადადება რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ეთანხმებაო.

მოსკოვი. საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ქალებსაც მიეცეთ საარჩევნო უფლება, აგრეთვე უფლება არჩეულ იქმნან ხმოსნებათ. საარჩევნო საადგილ-მამულო ცენზი წინანდელი დასტოვეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემოსავლის კვალობაზე არსებული ცენზი შეიცვალოს ქონების შეფასების კვალობაზე.

პარიზი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ გამართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ იტალიის მეფე-დედოფალი და პრეზიდენტი ლუბე მეუღლითურთ.

მალმიჟი. საერობო კრება შუამდგომლობს, დაწესდეს ნორმა ცენზისა საერობო გადასახადების რაოდენობის კვალობაზე და მიეცეს გლეხებს თანასწორი უფლება.

რიაზანი. საერობო კრებამ დაადგინა დააწესონ აგრონომის თანამდებობა და დაწვრილებით გამოიძიონ მთელი მაზრის ეკონომიური მდგომარეობა, აგრეთვე გამართონ საცდელი მინდვრები საქონლის საკვებ კულტურულ მცენარეულობათა.

ტვერი. გემების მოძრაობა შეჩერებულია.

რიბინსკი. ვოლგაზე თოში მოდის.

ტამბოვი. კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ საარჩევნო ცენზი შემცირდეს ას დესეტინამდე, იმათთვის კი, ვისაც საშუალო და უმაღლესი განათლება მიუღია—50 დესეტინამდე. ამომრჩევლები, განურჩევლად წოდებისა, იკრიბებოდნენ ერთს კრებაზე და გლეხ ხმოსანთა რიცხვი გლეხების მიწის რაოდენობას შეუფარდდეს.

ბირსკი. საერობო კრებამ სურვილი გამოსთქვა საარჩევნო კრებებში წოდების მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ყველასათვის ერთნაირი ცენზი დაწესდეს, გლეხთა ხმოსნების რიცხვს მოემატოს, ქალებს აქტიური საარჩევნო უფლება მიენიჭოთ და საგუბერნიო კრების ხმოსანთა რიცხვს მოემატოსო.

კაზანი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, ქალებს საარჩევნო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცეთო.

უფა. დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, სასამართლოს სადგომში სასამართლოს თავმჯდომარე ჰემლიაკი რევოლვერით მოჰკლეს. მკვლელმა, ნაფიც ვექილის თანაშემწემ პოკროვსკიმ იქვე თავი მოიკლა.

პეტერბურგი. პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზაზე 3 ოქტომბერს, როცა მატარებელი პიტალოვოს სადგურზე მოვიდა, აღმოჩნდა, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედებს ბაგაჟის ვაგონში ორი ბაგაჟის კონდუქტორი დაეჭრათ და შეეკრათ, კასიდან ფული მოეტაცნათ და ბაგაჟი გაეხსნათ. ბოროტ-მოქმედები, 10-მდე იქნებოდნენ, სადგურებ პიტალოვოსა და ჰონდერ შუა მატარებელში ავცვივდნენ და როცა მატარებელი პიტალოვის სადგურზე მივიდა, გადახტნენ და ტყეში დაიმალნენ.

5 **ოქტომბერი.**

ბიტოლია. როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, სარაფოვი კი არ არის მოკლული, არამედ იმისი ნათესავი.

ბელგრადი. ის ხმები, ვითომ წელს მეფე აპირებდეს უცხო სახელმწიფოებში მოგზაურობას, ტყუილია.

სალონიკი. გასულ ღამეს სამხედრო მატარებლის ლოკომოტივი, რომელიც კილინდირში მიდიოდა, ბოლგარელებმა ააფეთქეს. მატარებელი უვნებლად გადარჩა.

კურსკი. გახსნეს საპოლიციო დარაჯთა სკოლა.

ბრიუსელი. შაქრის მუდმივ კომისიას მსჯელობა ჰქონდა, შეეცვალა საბოლოოთ რუსეთის შაქარზე დროებით მიღებული ზომები, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია.

კუზნეცკი. საერობო კრებამ დაადგინა, რომ ხელ-მისაწდომი გავხადოთ ყველასთვის პირველდაწყებითი სწავლება, იკისროს ერობამ აშენება და მოწყობა სკოლებისა და გახსნას 10 წლის განმავლობაში 35 სკოლა.

კალუგა. მეშჩოვსკის საერობო კრებამ დაადგინა, ხელმწიფე განმათავისუფლებლის სამახსოვროდ გადასდოს ყოველ წლიურად 500 მანეთი მეშჩოვსკაში სახელოსნო სკოლის ასაშენებლად და მაზრაში იმპერატორ ალექსანდრე მეორის სახელობაზე სახალხო სკოლების დასაარსებლად.

ტოკიო. იაპონიის მუშები პორტ-არტურის დოკებიდან დაითხოვეს. მანჯურიიდან ბევრი სახლდებიან. აქ სიწყნარეა გამეფებული.

ვენა. ბელგიის მეფე მოვიდა.

ბელგრადი. საადრესო პროექტი სკუპშჩინისა მიიღეს უკანასკნელად იმ შესწორებით, რომელიც დეპუტატმა ჟივკოვიჩმა მოითხოვა. ეს შესწორება ეხება იმ ადგილს, სადაც 29 მაისის ამბავია აღნიშნული. ის პარაგრაფი, რომელიც ჯარს ეხება, ასეთია: „ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ გავიგონეთ მისი უდიდებულესობის ბაგეთაგან დამტკიცება რწმენისა, რომ სერბიის ჯარს მაღლა უჭირავს თავისი დროშა და არ ღალატობს თავის მოწოდებას. სკუპშჩინა დარწმუნებულია, რომ ჯარი შეკავშირებული ძმური გრძნობებით და შეერთებული ტახტთან წესიერებისა და კანონიერების დასაცველად სერბიის უდიდებულეს სამხედრო გენიოსის შვილის-შვილის ხელმძღვანელობით, გაამართლებს მეფისა და მხარეს იმედებს.

მოსკოვი. ნაფიც მსაჯულებმა ჯამკაროვის მკვლელი ნინასიანცი დამნაშავედ იცნეს და ათის წლით კატორღა გადაუწყვიტეს.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია უმაღლესის ბრძანებით შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ კომიტეტის დებულება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

Дозв. ценз. Тифлисъ 5 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).